

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2018 წლის 27 ივლისი

დაბა ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალის, საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 აგვისტოს №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალის, საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 აგვისტოს №33 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 25/08/2017 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.107.016265) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №4

მცირე სახელმწიფო გერბი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№ _____

„-----“-----20 წ.

ეძლევა _____

(მესაკუთრე და მისი მისამართი)

_____ მასზედ,

რომ მას გადაეცა საკუთრებაში _____



(ქონების დასახელება და მისამართი)

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, წილის ოდენობა, უძრავი ქონების ფართობი)

(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი: _____

(ოქმის და ხელშეკრულების რეკვიზიტები)

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელთაგან ერთი წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს. მესამე ეგზემპლარი ინახება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ძალაშია ოქმთან და ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

